PDF Eraser Free

*დანართი №1*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
# სსიპ კოლეჯის ,,ლაკადა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - "კულინარიის ხელოვნება", "მეხილეობა", "იატაკისა და ფილის სამუშაოებისა" და "კედლის დაფარვის სამუშაოების (სამღებრო სამუშაოების შესრულება)"- მონიტორინგის შესახებ

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: მანანა მოისწრაფიშვილი

**წევრები:**

გივი დოლიძე

ზაირა ბერიძე

თამარ ახალაძე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი ,,ლაკადა“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

***ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):***

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ გეგმიური

☐ არაგეგმიური

☒ მონიტორინგი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

PDF Eraser Free

## III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

*ივსება მხოლოდ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების დროს:*

*სრული მონიტორინგის შემთხვევაში ივსება პროგრამებზე ცალ-ცალკე, კონკრეტული პროგრამის/პროგრამების მონიტორინგის შემთხვევაში ივსება კონკრეტულ პროგრამაზე/პროგრამებზე ცალ-ცალკე.*

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| კულინარიის ხელოვნება | 30 | 15 | 0 |
| მეხილეობა | 30 | 13 | 0 |
| იატაკისა და ფილის სამუშაოები | 30 | 14 | 0 |
| კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოების შესრულება) | 30 | 13 | 0 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

## IV. საერთო მიმოხილვა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით (2020 წლის 3 აგვისტოს №№655086 ოქმი) სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდეგომში ცენტრი) დირექტორის 2021 წლის 09 თებერვლის N81395 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, სსიპ - კოლეჯი ,,ლაკადას“ (შემდგომში კოლეჯი) საგანმანათლებლო პროგრამების "კულინარიის ხელოვნება", "მეხილეობა", "იატაკისა და ფილის სამუშაოებისა" და "კედლის დაფარვის სამუშაოების (სამღებრო სამუშაოების შესრულება)" ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ზ.ზ) კომპონენტების შესრულების შემოწმება.

ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ განიხილა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, დაადგინა დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტების ნუსხა და შეიმუშავა მონიტორინგის განრიგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა ა.წ. 24 თებერვალს დისტანციურად, ZOOM_ის პლატფორმის გამოყენებით, წინასწარ შედგენილი განრიგისშესაბამისად. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს და განმახორციელებელ პერსონალს, მათთან განიხილეს ავტორიზაციის პირობების დაკმაყოფილების მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, დაათვალიერეს საგანმათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული მატერიალური ბაზა და საბიბლიოთეკო რესურსები. წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ("კულინარიის ხელოვნება", "მეხილეობა", "იატაკისა და ფილის სამუშაოებისა" და "კედლის დაფარვის სამუშაოების (სამღებრო სამუშაოების შესრულება)" მომზადებული დასკვნების თანახმად, დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც მეტწილ შესაბამისობაში, რადგანაც 2.2 კომპონენტი შეფასდა მეტწილად. მონიტორინგის ფარგლებში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

შემოწმებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით და ასევე დისტანციურად განხორციელებული ვიზიტის შესაბამისად (ZOOM პლატფორმის გამოყენებით), ზემოაღნიშნული პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის 2.2 კომპონენტი ექსპერტთა მიერ შეფასდა სრულ შესაბამისობაში და შესაბამისად ზემოაღნიშნული პროგრამები არის უკვე „სრული შესაბამისი“ სტანდარტის მოთხოვნებთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

## VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

## VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

*1. კულინარიის ხელოვნება*

შესაბამისობის რეკომენდაცია

2.2.1.1 რეკომენდაცია მიეცეთ, გაუმჯობესების გეგმაში მითითებულ ვადებში (25 დეკემბერი 2020 წელი), უზრუნველყონ საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის დარჩენილი ნაწილის შესყიდვა, რათა საფრთხე არ შეექმნას პროგრამაზე სასწავლო პროცესის სასწავლო გეგმის მიხედვით წარმართვას - **შესრულებულია.**

*2. მეხილეობა*

შესაბამისობის რეკომენდაცია

2.2.1. (1). სასურველია კოლეჯმა მოახდინოს იმ მოდულების სწავლის შედეგების იდენტიფიცირება, რომლის სწავლებაც იგეგმება კოლეჯის სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე - **შესრულებულია.**

განმავითარებელი რეკომენდაცია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.1.1. (3). სასურველია გადაიხედოს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ გარკვეული უზუსტობების გამორიცხვის მიზნით. კერძოდ: რეკომენდირებულია აღნიშნულ დოკუმენტში გადაიხედოს და აზრობრივად გაიმართოს მუხლი 2 - **შესრულებულია.**.

2.2.1. (7). სასურველია ბიუჯეტის ხარჯების ნაწილში, ბიუჯეტის პროცენტული მაჩვენებლების სვეტში განსაზღვრულ პროცენტულ მაჩვენებლებში გასწორდეს უზუსტობა - **შესრულებულია.**

2.2.1. (1). „მეხილეობის“ პროგრამის 23 სავალდებულო მოდულს ახორციელებს 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი. სასურველია კოლეჯმა დაიმატოს კიდევ ერთი განმახორციელებელი პირი, ორცვლიანი სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით - **შესრულებულია.**

2.4.1.(5). სასურველია შპს „გემუანთან“ გაწერილი ხელშეკრულება გაფორმდეს ერთ წელზე მეტი ვადით, მინიმუმ პროგრამის განხორციელების ვადის დასრულებამდე - **შესრულებულია.**

### *3. იატაკისა და ფილის სამუშაოები*

შესაბამისობის რეკომენდაცია

2.2.1.(1). ექსპერტთა შეფასებით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. რეკომედნირებულია სწავლის დაწყებამდე მოხდეს მატერიალური რესურსის მობილიზება დაწესებულების მიერ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის მატერიალური რესურსის ჩამონათვალში შეტანილია ბეტონმრევი. ექსპერტებმა დაწესებულების დათვალიერების და ინტერვიუირების დროს დაადგინეს, რომ ბეტონმრევი დაწესებულებას არ აქვს შესყიდული, აქვს ელექტრომიქსერი. რეკომენდირებულია დაწესებულებას ჰქონდეს მფლობელობაში პროგრამის მატერიალური რესურსის ჩამონათვალში მითითებული მატერიალური რესურსი - **შესრულებულია.**

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია</u>

ვებგვერდზე განთავსდეს განახლებული მარეგულირებელი დოკუმენტები -- **შესრულებულია.**

2.1.1.(3) ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. რეკომენდირებულია აღნიშნულ დოკუმენტში გადაიხედოს და აზრობრივად გაიმართოს მუხლი 2 - **შესრულებულია.**

2.4.1.(6). ექსპერტთა შეფასებით A და B გარემოში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხოდ, C გარემო დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების დროს დაწესებულებას არ ჰქონდა მოწყობილი. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია, რომ შემუშავებულ იქნეს დამატებით უსაფრთხოების წესები კედლის დაფარვის სამუშაოების პროგრამისთვის განკუთვნილ C გარემოსთვის და გამოკრულ იქნეს უშუალოდ აღნიშნულ გარემოში - **შესრულებულია.**

2.4.2.(4 ). რეკომენდირებულია სასწავლო პროცესის მენეჯერმა მოახდინოს კოორდინირებული თანამშრომლობა მონიტორინგის ჯგუფთან და პროფესიული სტუდენტების მიღწევების ანალიზის შედეგად მიღებული ინფორმაცია დაიყვანოს პროფესიულ სტუდენტებამდე მათი შემდეგომი განვითარებისთვის - **შესრულებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

*4. კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოების შესრულება).*

შესაბამისობის რეკომენდაციები

2.1.1.(7)ექსპერტთა შეფასებით საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება კედლის დაფარვის სამუშაოები არის შეცდომაში შემყვანი, ვინაიდან ჩარჩოდოკუმენტში მისანიჭებელი კვალიფიკაცია "კედლის დაფარვის სამუშაოები" აერთიანებს სამ არჩევით კონცენტრაციას. ერთ-ერთი კონცენტრაციაა „სამღებრო სამუშაოების შესრულება". პროგრამის სახელწოდებად ნაცვლად „სამღებრო სამუშაოების შესრულება" განსაზღვრულია „კედლის დაფარვის სამუშაოები". „კედლის დაფარვის სამუშაოები" არის ფართო მცნება, რომელიც თავის თავში მოიცავს, როგორც „საბათქაშე სამუშაოების წარმოების"(პირველი კონცენტრაცია), ასევე „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი" (მესამე კონცენტრაცია) მოდულებს; ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე რეკომენდირებულია პროგრამის სახელწოდება დაკონკრეტდეს და დაერქვას „კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოების შესრულება)" ან „სამღებრო სამუშაოების შესრულება" )) - **შესრულებულია.**

2.2.1.(1). ექსპერტთა შეფასებით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. რეკომედნირებულია სწავლის დაწყებამდე მოხდეს მატერიალური რესურსის მობილიზება დაწესებულების მიერ - **შესრულებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

<u>განმავითარებელი რეკომენდაცია</u>

რეკომენდირებულია დაწესებულების ვებგვერდზე განთავსდეს განახლებული მარეგულირებელი დოკუმენტები - შესრულებულია.

<u>2.1.1.(3).</u> ექსპერტთა შეფასებით დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. რეკომენდირებულია აღნიშნულ დოკუმენტში გადაიხედოს და აზრობრივად გაიმართოს მუხლი 2 - შესრულებულია.

<u>2.4.1.(6).</u> ექსპერტთა შეფასებით A და B გარემოში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხოდ, C გარემო დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების დროს დაწესებულებას არ ჰქონდა მოწყობილი. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია, რომ შემუშავებულ იქნეს დამატებით უსაფრთხოების წესები კედლის დაფარვის სამუშაოების პროგრამისთვის განკუთვნილ C გარემოსთვის და გამოკრულ იქნეს უშუალოდ აღნიშნულ გარემოში - შესრულებულია.

<u>2.4.2.(4).</u> რეკომენდირებულია სასწავლო პროცესის მენეჯერმა მოახდინოს კოორდინირებული თანამშრომლობა მონიტორინგის ჯგუფთან და პროფესიული სტუდენტების მიღწევების ანალიზის შედეგად მიღებული ინფორმაცია დაიყვანოს პროფესიულ სტუდენტებამდე მათი შემდეგომი განვითარებისთვის - შესრულებულია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

-

## IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

-

## X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

-



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1. **კულინარიის ხელოვნება**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | **კულინარიის ხელოვნება** |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მესამე დონე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში / Basic Vocational Qualification in Cooking |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1013 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ დირექტორის ბრძანება №04/35, 12.06.2020 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ.ჯვარი, ყაზბეგის ქ.N2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 30 პროფესიული სტუდენტი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ.ჯვარი, ყაზბეგის ქ.N2, მოდულური მიდგომით |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 86კრედიტი |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 101 კრედიტი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

## XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

1. კულინარიის ხელოვნება

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | | სრული |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## სტანდარტის შეფასება

### პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე*

1. კულინარიის ხელოვნება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში დისტანციური წარმოების ფარგლებში ექსპერტების მიერ შემოწმებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის არსებული მატერიალური რესურსი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

   პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“ ხორციელდება A, B და C გარემოში, სადაც A/C გარემო განთავსებულია ერთ სივრცეში და გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე.

   აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის სსიპ კოლეჯს „ლაკადა“ საკუთრებაში აქვს კომპიუტერული ტექნიკა და „კულინარიის ხელოვნება“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსები.

   ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა შესყიდვის დოკუმენტაცია, საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ პროფესიული მოდულების განსახორციელებლად საჭირო პროგრამით განსაზღვრული აღჭურვილობის, შესყიდვასთან დაკავშირებით. დისტანციური გასაუბრების დროს მოხდა აღჭურვილობის ადგილზე არსებობის გადამოწმება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ სამზარეულო სახელოსნოსთვის შესყიდულია აღჭურვილობის ის ნაწილი რომლის შესყიდვაც წინა წარმოების ფარგლებში არ იყო დასრულებული, კერძოდ, უზრუნველყოფილია 15 პროფესიული სტუდენტისთვის ინვენტარი და აღჭურვილობა, როგორც მანქანა-დანადგარები, ასევე კულინარიის ხელოვნების პროგრამისათვის საჭირო მატერიალური რესურსი. დაწესებულების განმარტებით, მატერიალური რესურსის სრულად შესყიდვა განხორციელდა სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან” გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ამჯერად, სასწავლო გარემო განახლებულია და სრულადაა აღჭურვილი პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება პროგრამის შეუფერხებლად განხორციელება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულების მიერ მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა პროგრამაზე შეადგენს 30 პროფესიული სტუდენტს, მაქსიმუმ 15 პროფესიული სტუდენტის თითო გამოცხადებაზე მიღების პირობით. ამჟამად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლობს ერთი ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია 15 პროფესიული სტუდენტით.

აქვე, აღსანიშნავია ის ფაქტი რომ „სასტუმრო, რესტორანი, კვება“ - ჩარჩო დოკუმენტი ითვალისწინებს ჩარჩოს ქვეშ გაერთიანებული პროგრამებისათვის (სასტუმრო მომსახურება, სარესტორნო მომსახურება, კულინარიის ხელოვნება, კონდიტერია), საერთო დარგობრივ მოდულებს, მათ შორის არის საერთო დარგობრივი მოდული - „სასტუმროსა და რესტორნის-სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა“. წარმოდგენილი მოდულის შედეგების მიღწევის მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან - სასტუმრო „ელ ბარკოს“-თან და შპს „გარდენ პალასთან“, სადაც მოდულის პრაქტიკული შედეგები მიიღწევა ამ ორგანიზაციების მატერიალური რესურსებით პრაქტიკის ობიექტზე მოდულის განმახორციელებელ პერსონალთან ერთად. პროფესიული სტუდენტებისთვის პრაქტიკის ობიექტზე სასწავლო პროცესის წარმართვა მოხდება წინასწარი შეთანხმებით გაწერილი ცხრილის შესაბამისად.

დაწესებულებას ასევე აქვს გაფორმებული ხელშეკრულებები კვების ბლოკებთან „მონოპოლი“ და შპს „მენძელი“- ინფო ტურებისათვის მათ შორის „გაცნობითი პრაქტიკა - სასტუმრო, რესტორანი, კვება“ მოდულის ფარგლებში.

გამომდინარე ზემოთ აღნიშნულიდან, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით და ინდიკატორის მოთხოვნები ექსპერტთა მიერ შეფასდა როგორც სრული შესაბამისობა;

2. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი. სპეციალიზაციის მოდულების განსახორციელებლად, დარგის მასწავლებლად განსაზღვრულია 3 პროფესიული მასწავლებელი. პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა, მათი შესაბამისობა პროფესიული სტუდენტების რაოდენობასთან და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების და მათზე დაკისრებული ფუნქცია -



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას, რითაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობა. მათი საკონტაქტო საათების დატვირთვა ერთი პროგრამის მიზნებისათვის სასწავლო გეგმის კვირაში არ აღემატება 40 საათს.

3. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტები და პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები. დაწესებულების „შინაგანაწესში" (დამტკ. 18.05.2020 ბრძ. N04/22) თავი 2; მუხლი 6. განსაზღვრულია მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობს და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც განახორციელებს მასწავლებელი.
   დაწესებულებას სტარტეგიული განვითარების გეგმაში და სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პირების განვითარების მიზნით მიზნობრივი ტრეინინგების ჩატარების აქტივობა.
   ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.
4. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფუნქციები და საჭირო უნარები. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი და დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი პროგრამის ხელმძღვანელი, რაც დასტურდება მისი პირადი საქმის მიხედვით კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით, აგრეთვე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრების შედეგებით.
5. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, მათ შორის, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული რესურსები. ექსპერტთა მიერ დაწესებულების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ვებგვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგის მეშვეობით და დისტანციური ვიზიტის ფარგლებშიც გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, და ვიზუალური დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე.

საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ როგორც სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით და პრინტერით აღჭურვილ კოლეჯის სამკითხველო დარბაზში, ასევე მასწავლებლის კომპიუტერში სასწავლო სივრცეში. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება ლიტერატურაზე იმუშაონ დამოუკიდებლად, მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა. დისტანციური საქმის წარმოებისას დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები იყენებენ სასწავლო რესურსებს, რის მტკიცებულებად ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა პროფესიული სტუდენტების მიერ ბიბლიოთეკიდან სასწავლო რესურსებით სარგებლობის დამადასტურებელი შევსებული ჟურნალი.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. სსიპ კოლეჯს „ლაკადა“ აქვს სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის ადაპტირებული გარემო, კერძოდ პანდუსი ცენტრალური ეზოში გასასვლელად. შშმ პირების მოთხოვნებთან ადაპტირებული სველი წერტილები. სართულებს შორის დამაკავშირებელი ლიფტი. საჭიროების შემთხვევაში, სსსმ სტუდენტისათვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც იქნება დაფუძვნებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოდულზე და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას და/ან აკომოდაციას და შესაბამისად, დაზუსტდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისათვის დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებები.

ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე ხდება სწავლების განსხვავებული ხერხებისა და სტრატეგიების გამოყენება; სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა - სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდების შერჩევა; ისგ-ს საფუძველზე შესაძლებელია სტუდენტისათვის საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემის დადგენა; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო მასალა და ნედლეული.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ „ლაკადას“ წესდების პირველი თავის მე-4 მუხლში „ბ“ პუნქტში გაწერილია ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელების პირობების შექმნის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისა და მსმენელისათვის შეიმუშავოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის შესაბამისადაც განხორციელდება პროფესიული სტუდენტისა და მსმენელის სწავლება, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ (ბრძ.№04/22. 18.05.2020 წ) მე-5 მუხლში გაწერილია სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები. აღნიშნულ დოკუმენტში 5.5 ქვეპუნქტში გაწერილია, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება სწავლის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში მასწავლებლისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მიერ.

„პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესში“ (დამტკ. 2017 წლის 2 ნოემბრის N230 ბრძანებით) მე-4 მუხლის მიხედვით, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტები არიან კომისიის სავალდებულო წევრები. ამავე დოკუმენტის მე-9 მუხლი განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ჩარიცხვის წესს. აპლიკანტის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურების ან უარყოფის მიზნით, ამ მუხლის გათვალისწინებული რეგისტრაციის მიმდინარეობისას კოლეჯი ყოველ მეორე სამუშაო დღეს, რეგისტრაციის ვადის ამოწურვის შემდეგ კი მომდევნო სამუშაო დღეს, უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომ საფეხურებზე დარეგისტრირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ბაზების სამინისტროსთვის მიწოდებას.

კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ კოლეჯს 2016 წლიდან ყავს ინკლუზიური სპეციალისტი. საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი ჩართვა სასწავლო პროცესში. კოლეჯის ბიბლიოთეკარმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ მას წინასწარ მიეწოდება ინფორმაცია სსსმ პირთან დაკავშირებით და შესაბამისად მიიღებენ ზომებს სასწავლო რესურსებთან დაკავშირებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

PDF Eraser Free

ექსპერტთა შეფასებით, სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. კოლეჯს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ ბიუჯეტი, რომელშიც გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“ ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ როგორც პროგრამული, ისე ვაუჩერული დაფინანსებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამა „კულინარიის ხელოვნება“ და მოდულები (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს 12.06.2020 № 04/35 ბრძანებით).
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან.
- ინტერვიურება კოლეჯის წარმომადგენლებთან.
- ვიზუალური დათვალიერება.
- დაწესებულების ელექტრონული კატალოგი (OPAC) http://biblio.lakada.edu.ge/opac/index.php
- ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ფონდის ფაქტობრივი მდგომარეობა;.
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- სსიპ-კოლეჯში „ლაკადა“ პროგრამების დამტკიცებისა, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს 11.06.2020 №04/32 ბრძანებით)
- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს30.12.2019N04/122 ბრძანებით)
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი”(დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს18.06.2020 N04/22 ბრძანებით)
- „პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“ (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს 02.11.2017 N230 ბრძანებით)
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №125/ნ 2019 წლის 19 ივნისი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ „ლაკადას“ წესდების დამტკიცების შესახებ“.
- „სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (დამტკიცებულიკოლეჯის დირექტორისმ/შ-ს21.08.2018 N158 ბრძანებით)
- „ბიბლიოთეკის მუშაობის წესი“(დამტკიცებული კოლეჯისდირექტორისმ/შ -ს14.05.2019 N04/37 ბრძანებით)

- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

2. <u>მეხილეობა</u>

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | **მეხილეობა** |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში/ Secondary Vocational Qualification in Agriculture |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0811 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | სსიპ-კოლეჯის „ლაკადა" დირექტორის მ/შ ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - სოფლის მეურნეობის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეხილეობა" № 04/35, 12.06.20. ცვლილება განხორციელდა 23.06.2020 N37 ბრძანებით. |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. №2 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 30 პროფესიული სტუდენტი - წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. №2 , მოდულური მიდგომით. |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90კრედიტი |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 კრედიტი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

2. <u>მეხილეობა</u>

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | | სრული |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

PDF Eraser Free
სტანდარტის შეფასება

## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე*

<u>2, მეხილეობა</u>

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში დისტანციური წარმოების ფარგლებში ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის არსებული მატერიალური რესურსი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. კოლეჯს აღნიშნულ პროგრამაზე განსაზღვრული აქვს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 30 და გეგმავს წელიწადში მიიღოს მაქსიმუმ 15 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებული თითო ჯგუფი. ამჟამად პროგრამაზე სწავლობს 13 პროფესიული სტუდენტი.

   კერძოდ, ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა „მეხილეობის" პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სასწავლო პროგრამის პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევა ხორციელდება კოლეჯის ბაზაზე და პრაქტიკის ობიექტებზე. კოლეჯის ბაზაზე პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება დაწესებულების მფლობელობაში არსებულ მიწის არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 2411.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N47.14.41.282), რომელიც კოლეჯს უვადო სარგებლობაში აქვს აღებული. კოლეჯის ადმინისტრაციის განმარტებით, ამ მიწის ნაკვეთზე ხორციელდება იმ პრაქტიკული კომპონენტების შედეგების მიღწევა, რომელსაც ვერ უზრუნველყოფს პარტნიორი კომპანიები.

   პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი და ხელშეკრულებები ოთხ პარტნიორ კომპანიასთან:

   შპს „გემუანი" (ხელშეკრულების გაფორმების თარიღი: 10.06.2020)

   შპს. [redacted](ხელშეკრულების გაფორმების თარიღი: 10.06.2020)

   შპს „გეო ფრეში" (ხელშეკრულების გაფორმების თარიღი: 10.06.2020)

   [redacted](მემორანდუმის გაფორმების თარიღი: 12.06.2020)

   ხელშეკრულების მიხედვით თვითოეული პარტნიორი კომპანია უზრუნველყოფს არაუმეტეს 15 სტუდენტის სასწავლო პრაქტიკის გატარებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მემორანდუმი/ხელშეკრულებები მოიცავს დანართს, სადაც კონკრეტულად არის გაწერილი პრაქტიკის ხანგრძლივობა კვირეებისა და საათების მითითებით. ასევე ცხრილის სახით მოცემულია მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება სწავლების განხორციელება. მემორანდუმსა და ხელშეკრულებებში გაწერილია მოდულები სწავლის შედეგების მითითებით, რომლის შესწავლაც უნდა განხორციელდეს კომპანიაში.

კოლეჯმა უზრუნველყო პროგრამის მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფისთვის განსაზღვრული მინიმალური აღჭურვილობის შეძენა. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ხეშეკრულება შპს „გემთან", რომლის საფუძველზეც შესყიდულია 5403, 50 და 3901 ლარს ღირებულების მატერიალური რესურსი. რომელიც სრულიად ფარავს პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალური რესურსის ჩამონათვალს.

დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია მიღება ჩაბარების ორი აქტი და შპს „გემთან" გაფორმებული ხელშეკრულება. კოლეჯში არსებული მატერიალური რესურსები ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ვიდეოჩართვით ვიზუალურადაც იქნა დათვალიერებული.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად არის უზრუნველყოფილი კოლეჯისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. "მეხილეობის" პროგრამის განხორციელებისთვის პსდ-ს ზოგად მოდულზე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 8 პროფესიულ მასწავლებელთან, ხოლო პროფესიულ დარგობრივ მოდულებზე 3 პროფესიულ მასწავლებელთან. პროფესიული განათლების მასწავლებლის (საშტატო) დატვირთვის გაანგარიშებისას კოლეჯი ითვალისწინებს მასწავლებლის მიერ განსახორციელებელ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა - მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი და სხვ. პროფესიული მასწავლებლის დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს" და არ აღემატება კვირაში 40 საათს. ასევე, გადამოწმდა პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

ექსპერტთა მიერ წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული იყო რეკომენდაცია "პროგრამის 23 სავალდებულო მოდულს ახორციელებს 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი. სასურველია კოლეჯმა დაიმატოს კიდევ ერთი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განმახორციელებელი პირი, ორცვლიანი სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით“, რომელიც შესრულებულია.

ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა და დატვირთვა, რომელიც სასწავლო გეგმაში და ხელშეკრულებებშია გაწერილი, უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტები და პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები. დაწესებულების „შინაგანაწესში“ (დამტკ. 18.05.2020 ბრძ. N04/22) თავი 2; მუხლი 6. განსაზღვრულია მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობს და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც განახორციელებს მასწავლებელი.

დაწესებულებას სტარტეგიული განვითარების გეგმაში და სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პირების განვითარების მიზნით მიზნობრივი ტრეინინგების ჩატარების აქტივობა.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფუნქციები და საჭირო უნარები. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი და დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი პროგრამის ხელმძღვანელი, რაც დასტურდება მისი პირადი საქმის მიხედვით კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით, აგრეთვე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრების შედეგებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, მათ შორის, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული რესურსები. ექსპერტთა მიერ დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგის მეშვეობით და დისტანციური ვიზიტის ფარგლებშიც გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, და ვიზუალური დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე.

   საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ როგორც სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით და პრინტერით აღჭურვილ კოლეჯის სამკითხველო დარბაზში, ასევე მასწავლებლის კომპიუტერში სასწავლო სივრცეში. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება ლიტერატურაზე იმუშაონ დამოუკიდებლად, მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა. დისტანციური საქმის წარმოებისას დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები იყენებენ სასწავლო რესურსებს, რის მტკიცებულებად ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა პროფესიული სტუდენტების მიერ ბიბლიოთეკიდან სასწავლო რესურსებით სარგებლობის დამადასტურებელი შევსებული ჟურნალი.

   ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. სსიპ კოლეჯს „ლაკადა“ აქვს სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის ადაპტირებული გარემო, კერძოდ პანდუსი ცენტრალური ეზოში გასასვლელად. შშმ პირების მოთხოვნებთან ადაპტირებული სველი წერტილები. სართულებს შორის დამაკავშირებელი ლიფტი. საჭიროების შემთხვევაში, სსსმ სტუდენტისათვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც იქნება დაფუძვნებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოდულზე და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას და/ან აკომოდაციას და შესაბამისად, დაზუსტდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისათვის დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებები.

   ინდივიდუალური სჭიროებებიდან გამომდინარე ხდება სწავლების განსხვავებული ხერხებისა და სტრატეგიების გამოყენება; სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა - სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდების შერჩევა; ისგ-ს საფუძველზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შესაძლებელია სტუდენტისათვის საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემის დადგენა; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო მასალა და ნედლეული.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ „ლაკადას" წესდების პირველი თავის მე-4 მუხლში „ზ" პუნქტში გაწერილია ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელების პირობების შექმნის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისა და მსმენელისათვის შეიმუშავოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის შესაბამისადაც განხორციელდება პროფესიული სტუდენტისა და მსმენელის სწავლება, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში" (ბრძ.№04/22. 18.05.2020 წ) მე-5 მუხლში გაწერილია სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები. აღნიშნულ დოკუმენტში 5.5 ქვეპუნქტში გაწერილია, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება სწავლის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში მასწავლებლისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მიერ.

„პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესში" (დამტკ. 2017 წლის 2 ნოემბრის N230 ბრძანებით) მე-4 მუხლის მიხედვით, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტები არიან კომისიის სავალდებულო წევრები. ამავე დოკუმენტის მე-9 მუხლი განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ჩარიცხვის წესს. აპლიკანტის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურების ან უარყოფის მიზნით, ამ მუხლის გათვალისწინებული რეგისტრაციის მიმდინარეობისას კოლეჯი ყოველ მეორე სამუშაო დღეს, რეგისტრაციის ვადის ამოწურვის შემდეგ კი მომდევნო სამუშაო დღეს, უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომ საფეხურებზე დარეგისტრირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ბაზების სამინისტროსთვის მიწოდებას.

კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ კოლეჯს 2016 წლიდან ყავს ინკლუზიური სპეციალისტი. საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი ჩართვა სასწავლო პროცესში. კოლეჯის ბიბლიოთეკარმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ მას წინასწარ მიეწოდება ინფორმაცია სსსმ პირთან დაკავშირებით და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შესაბამისად მიიღებენ ზომებს სასწავლო რესურსებთან დაკავშირებით. ექსპერტთა შეფასებით, სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, კოლეჯი ვაუჩერული დაფინანსების სახით იღებს სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის სწავლის საფასურს კოლეჯში განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე. ვაუჩერული დაფინანსებიდან გაიცემა პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება (საათების რაოდენობა გაწერილია შრომით ხელშეკრულებაში), სასწავლო მიზნით გაწეული ხარჯი. პროგრამის ბიუჯეტის გათვლის დროს გათვალისწინებულია რენტაბელური სტუდენტთა რაოდეონობა, დაწესებულებამ განაცხადით წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი. ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები. კოლეჯს განსაზღვრული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც დგაწერილია შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი. შემოსავლების ნაწილში სულ განსაზღვრულია - 82 490,88 ლარი და ხარჯების ნაწილში - 82 490,88 ლარი. ხარჯების ნაწილი მოიცავს: მასწავლებლის შრომის ანაზღაურება (ვაუჩერული დაფინანსება) – 33 750 ლარი; ადმინისტრაციულ ხარჯებს (პროგრამული დაფინანსება) – 46 090, 88 ლარი. რენტაბელობის ზღვარი არის 8 სტუდენტი. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ბიუჯეტის ხარჯების ნაწილში, წინა ვიზიტის დროს ბიუჯეტის პროცენტული მაჩვენებლების სვეტში არასწორად იყო განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლები, რაც ამ ეტაპისთვის გასწორებულია.

ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეხილეობა", (დირექტორის მ/შ ბრძანება № 04/35, 12.06.20. ცვლილება განხორციელდა 23.06.2020 №37 ბრძანებით).
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან.
- ინტერვიურება კოლეჯის წარმომადგენლებთან.
- ვიზუალური დათვალიერება.
- დაწესებულების ელექტრონული კატალოგი (OPAC) http://biblio.lakada.edu.ge/opac/index.php
- ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ფონდის ფაქტობრივი მდგომარეობა;.
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სსიპ-კოლეჯში „ლაკადა" პროგრამების დამტკიცებისა, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს 11.06.2020 №04/32 ბრძანებით)
- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია" (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს30.12.2019N04/122 ბრძანებით)
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"(დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს18.06.2020 N04/22 ბრძანებით)
- „პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი" (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს 02.11.2017 N230 ბრძანებით)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №125/ნ 2019 წლის 19 ივნისი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ „ლაკადას“ წესდების დამტკიცების შესახებ“.
- „სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (დამტკიცებულიკოლეჯის დირექტორისმ/შ-ს21.08.2018 N158 ბრძანებით)
- „ბიბლიოთეკის მუშაობის წესი“(დამტკიცებული კოლეჯისდირექტორისმ/შ -ს14.05.2019 N04/37 ბრძანებით)

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

3.კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოების შესრულება)

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოების შესრულება) |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოები/Basic Vocational Qualification in Wall Covering Works |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0732 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | სსიპ-კოლეჯის „ლაკადა“ დირექტორის 2020 წლის 12 ივნისი№ 04/35 ბრძანება |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. #2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 30<br>მის: წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. #2<br>განხ. ფორმა: მოდულური |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 58 კრედიტი |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 73 კრედიტი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

## XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

3. კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოების შესრულება)

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | | სრული |

## სტანდარტის შეფასება

### პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე*

3.კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოების შესრულება)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის „კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოების შესრულება)" განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი, რომელიც შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულ მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალთან. პროგრამაში დანართის სახით დამტკიცებულია საჭირო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
მატერიალური რესურსი. ვიზუალური დათვალიერებისას კოლეჯის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა C გარემოს მშენებლობის დასრულებითი სამუშაოები. საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ C გარემოს მშენებლობა დასრულდება სავარაუდოდ 26 მარტს. დასახელებული თარიღი სავსებით რეალურია, ვინაიდან მხოლოდ შელესვითი სამუშაოებია დარჩენილი. დაწესებულების წარმომადგენელმა ინტერვიურებისას განაცხადა, რომ სტუდენტები დაკავდებიან C გარემოს შელესვითი სამუშაოებით.

წინა წარმოების დროს კოლეჯმა წარმოადგინა მხოლოდ A გარემოში განთავსებული მატერიალური რესურსის (მაგიდები, სკამები, პროექტორი, დაფა, კომპიუტერები) შესყიდვებისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მიღება-ჩაბარების დოკუმენტაცია. არ იყო შეძენილი C გარემოსთვის განკუთვნილი ხელსაწყო-იარაღები, დანადგარები. მიმდინარე ვიზიტისას კოლეჯმა წარმოადგინა C გარემოსთვის განკუთვნილი მატერიალური რესურსის შესყიდვებისა და მიღება-ჩაბარების აქტები, რის მიხედვითაც დადასტურდა მათი მფლობელობა. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა კოლეჯის მიერ შეძენილი C გარემოსთვის განკუთვნილი ხელსაწყო-იარაღებისა და დანადგარების ვიზუალური დათვალიერება.

პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ ორგანიზაციებთან:

შპს „ქალაქმშენსერვისი“;

შპს „პირამიდა -1“;

შპს „ზანგო 2015“;

შპს „ევრა2020“.

მემორანდუმის თანახმად პრაქტიკის ვადები მოიცავს სწავლის დაწყებიდან სწავლის დასრულების პერიოდს. აღსანიშნავია, რომ უვადო მემორანდუმები გაფორმებულია - შპს „ევრასთან“ 2020, 12.06.2020-წალენჯიხა; შპს „ქალაქმშენ სერვისი“-ზუგდიდი 12.06.2020; შპს „პირამიდა 1“-სენაკში , შპს „ზანგო“ -წალენჯიხა).

ექსპერტთა მიერ შემოწმდა ზემოხსენებულ კომპანიებთან დადებული მემორანდუმები, სადაც განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები. მემორანდუმებში გაწერილია, რომ პრაქტიკული კომპონენტის (გაცნობითი პრაქტიკა) და

PDF Eraser Free

რამოდენიმე სავალდებულო პროფესიული მოდულის ფარგლებში პრაქტიკული უნარ-ჩვევების განმტკიცება განხორციელდება კომპანიებში. თუმცა, პროგრამის ხელმძღვანელმა ინტერვიურებისას დააზუსტა, რომ კოლეჯი ყველა სავალდებულო პროფესიული მოდულის ფარგლებში პრაქტიკულ კომპონენტს განახორციელებს თავის ტერიტორიაზე არსებულ C გარემოში. "გაცნობითი პრაქტიკის" მოდულის განსახორციელებლად თითოეულ კომპანიას შეუძლია მიიღოს მაქსიმუმ 15 პროფესიული სტუდენტი. ინტერვიუირებისას დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ტრანსპორტირებას პრაქტიკის ობიექტებზე.

„პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის" დირექტორის მ/შ-ის 2019 წლის 30 დეკემბრის N04/122 ბრძანების მიხედვით აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრულია - 30 სტუდენტი. თითო მიღებაზე კოლეჯი გეგმავს 1 ჯგუფის დაკომპლექტებას მაქსიმუმ 15 პროფესიული სტუდენტით. ამჟამად პროგრამაზე სწავლობს 14 პროფესიული სტუდენტი.

ექსპერტთა შეფასებით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. საგანმანთლებლო პროგრამის კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოების შესრულება) დანართის სახით წარმოდგენილია პროგრამის განმახორციელებელ პირთა სია. სულ პროგრამას განახორციელებს 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის პროფესიულ დარგობრივ მოდულებს განახორციელებს 2 პროფესიული მასწავლებელი, რომელთა რაოდენობა მათი დატვირთვისა და განსახორციელებელი მოდულების რაოდენობის მიხედვით საკმარისია. კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს" და არ აღემატება კვირაში 40 საათს. ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენელმა დამატებით დასაბუთების მიზნით აღნიშნა, რომ საჭიროებიდან გამომდინარე, სწავლა ასევე შესაძლებელია განხორციელდეს ორ ცვლაშიც. აღსანიშნავია, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლის (საშტატო) დატვირთვის გაანგარიშებისას კოლეჯი ითვალისწინებს მასწავლებლის მიერ განსახორციელებელ ისეთ აქტივობებს,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

როგორიცაა - მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი და სხვ.

ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტები და პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები. დაწესებულების „შინაგანაწესში" (დამტკ. 18.05.2020 ბრძ. N04/22) თავი 2; მუხლი 6. განსაზღვრულია მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობს და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც განახორციელებს მასწავლებელი.

დაწესებულებას სტარტეგიული განვითარების გეგმაში და სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პირების განვითარების მიზნით მიზნობრივი ტრეინინგების ჩატარების აქტივობა. ასევე, ხარისხის მართვის მენეჯერმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ კედლის დაფარვის სამუშაოების (სამღებრო სამუშაოების შესრულება) პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლებმა უკვე გაიარეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთავაზებული სხვადასხვა ტრენინგები. ერთ-ერთ განმახორციელებელ პირს კი გავლილი აქვს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ ჩატარებული ტრენინგიც შრომის უსაფრთხოების საკითხებზე მშენებლობაში და გააჩნია შესაბამისი სერთიფიკატი.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფუნქციები და საჭირო უნარები. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი და დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი პროგრამის ხელმძღვანელი, რაც დასტურდება მისი პირადი საქმის მიხედვით კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით, აგრეთვე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრების შედეგებით.
5. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, მათ შორის, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული რესურსები. ექსპერტთა მიერ დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგის მეშვეობით და დისტანციური ვიზიტის ფარგლებშიც გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, და ვიზუალური დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე.
   საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ როგორც სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით და პრინტერით აღჭურვილ კოლეჯის სამკითხველო დარბაზში, ასევე მასწავლებლის კომპიუტერში სასწავლო სივრცეში. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება ლიტერატურაზე იმუშაონ დამოუკიდებლად, მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა. დისტანციური საქმის წარმოებისას დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები იყენებენ სასწავლო რესურსებს, რის მტკიცებულებად ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა პროფესიული სტუდენტების მიერ ბიბლიოთეკიდან სასწავლო რესურსებით სარგებლობის დამადასტურებელი შევსებული ჟურნალი.
   ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში.
6. სსიპ კოლეჯს „ლაკადა“ აქვს სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის ადაპტირებული გარემო, კერძოდ პანდუსი ცენტრალური ეზოში გასასვლელად. შშმ პირების მოთხოვნებთან ადაპტირებული სველი წერტილები. სართულებს შორის დამაკავშირებელი ლიფტი. საჭიროების შემთხვევაში, სსსმ სტუდენტისათვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც იქნება დაფუძვნებული პროფესიულ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოდულზე და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას და/ან აკომოდაციას და შესაბამისად, დაზუსტდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისათვის დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებები.

ინდივიდუალური სჭიროებებიდან გამომდინარე ხდება სწავლების განსხვავებული ხერხებისა და სტრატეგიების გამოყენება; სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა - სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდების შერჩევა; ისგ-ს საფუძველზე შესაძლებელია სტუდენტისათვის საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემის დადგენა; საჭიროების შემთხვევაში  გამოიყენება დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო მასალა და ნედლეული.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ „ლაკადას“ წესდების პირველი თავის მე-4 მუხლში „ზ“ პუნქტში გაწერილია ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელების პირობების შექმნის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისა და მსმენელისათვის შეიმუშავოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის შესაბამისადაც განხორციელდება პროფესიული სტუდენტისა და მსმენელის სწავლება, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ (ბრძ.№04/22. 18.05.2020 წ) მე-5 მუხლში გაწერილია სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები. აღნიშნულ დოკუმენტში 5.5 ქვეპუნქტში გაწერილია, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება სწავლის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში მასწავლებლისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მიერ.

„პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესში“ (დამტკ. 2017 წლის 2 ნოემბრის N230 ბრძანებით) მე-4 მუხლის მიხედვით, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტები არიან კომისიის სავალდებულო წევრები.  ამავე დოკუმენტის მე-9 მუხლი განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ჩარიცხვის წესს. აპლიკანტის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურების ან უარყოფის მიზნით, ამ მუხლის გათვალისწინებული რეგისტრაციის მიმდინარეობისას კოლეჯი ყოველ მეორე სამუშაო დღეს, რეგისტრაციის ვადის ამოწურვის შემდეგ კი მომდევნო სამუშაო დღეს, უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შემდგომ საფეხურებზე დარეგისტრირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ბაზების სამინისტროსთვის მიწოდებას.

კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ კოლეჯს 2016 წლიდან ყავს ინკლუზიური სპეციალისტი. საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი ჩართვა სასწავლო პროცესში. კოლეჯის ბიბლიოთეკარმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ მას წინასწარ მიეწოდება ინფორმაცია სსსმ პირთან დაკავშირებით და შესაბამისად მიიღებენ ზომებს სასწავლო რესურსებთან დაკავშირებით. ექსპერტთა შეფასებით, სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. საგანმანათლებლო პროგრამა კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოების შესრულება) ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, კოლეჯი ვაუჩერული დაფინანსების სახით იღებს სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის სწავლის საფასურს კოლეჯში განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე ვაუჩერული დაფინანსებიდან გაიცემა პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება (საათების რაოდენობა გაწერილია შრომით ხელშეკრულებაში), სასწავლო მიზნით გაწეული ხარჯი. დაწესებულებამ განაცხადით წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი, პროგრამის ბიუჯეტის გათვლის დროს გათვალისწინებულია რენტაბელური სტუდენტთა რაოდეონობა. ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები.კოლეჯმა წარმოადგინა პროგრამის ბიუჯეტი, სადაც განსაზღვრულია შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი. შემოსავლების ნაწილში სულ განსაზღვრულია - 48 164,62 ლარი და ხარჯების ნაწილში - 48 164,62 ლარი. ხარჯების ნაწილი მოიცავს: მასწავლებლის შრომის ანაზღაურება (ვაუჩერული დაფინანსება) -21 750 ლარი; სასწავლო მიზნით გაწეული ხარჯი (ვაუჩერული დაფინანსება) – 6 610 ლარი; ადმინისტრირების ხარჯი (პროგრამული დაფინანსება) – 19 804,62 ლარი. პროგრამის რენტაბელობის ზღვარის განსაზღვრულია 5 პროფესიული სტუდენტით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია შესრულებულია და ბიუჯეტის ხარჯების ნაწილში, ბიუჯეტის პროცენტული მაჩვენებლების სვეტში განსაზღვრულ პროცენტულ მაჩვენებლებში გასწორებულია ტექნიკური უზუსტობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლოპროგრამა „კედილის დაფარვის სამუშაოები“ და მოდულები (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს 12.06.2020 № 04/35 ბრძანებით).
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან.
- ინტერვიურება კოლეჯის წარმომადგენლებთან.
- ვიზუალური დათვალიერება.
- დაწესებულების ელექტრონული კატალოგი (OPAC) http://biblio.lakada.edu.ge/opac/index.php
- ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ფონდის ფაქტობრივი მდგომარეობა;.
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული ხეშეკრულებები;
- სსიპ-კოლეჯში „ლაკადა“ პროგრამების დამტკიცებისა, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს 11.06.2020 №04/32 ბრძანებით)
- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს30.12.2019N04/122 ბრძანებით)
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი”(დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს18.06.2020 N04/22 ბრძანებით)
- „პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“ (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს 02.11.2017 N230 ბრძანებით)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №125/ნ 2019 წლის 19 ივნისი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ „ლაკადას“ წესდების დამტკიცების შესახებ“.
- „სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (დამტკიცებულიკოლეჯის დირექტორისმ/შ-ს21.08.2018 N158 ბრძანებით)
- „ბიბლიოთეკის მუშაობის წესი“(დამტკიცებული კოლეჯისდირექტორისმ/შ -ს14.05.2019 N04/37 ბრძანებით)

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

4. <u>იატაკისა და ფილის სამუშაოები</u>

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | **იატაკისა და ფილის სამუშაოები** |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში/BASIC Vocational Qualification in Floor and Tile Works |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0732 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | სსიპ-კოლეჯ „ლაკადას“ დირექტორის მ/შ-ის 2020 წლის 12 ივნისის№ 04/35 ბრძანება |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | წალენჯიხის მუნიციპალიტეტი .ქ. ჯვარი ყაზბეგის ქ. №2. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 30<br>მის: წალენჯიხა. ქ. ჯვარი ყაზბეგის ქ. №2.<br>განხ. ფორმა: მოდულური |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 82 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 97 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

4.იატაკისა და ფილის სამუშაოები

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | (დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | | სრული |

## სტანდარტის შეფასება

**პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

*ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე*

4.იატაკისა და ფილის სამუშაოები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში არსებული „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსები, რომელიც შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალთან. პროგრამაში დანართის სახით დამტკიცებულია საჭირო მატერიალური რესურსი. ვიზუალური დათვალიერებისას კოლეჯის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა C გარემოს მშენებლობის დასრულებითი სამუშაოები. საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ C გარემოს მშენებლობა დასრულდება სავარაუდოდ 26 მარტს. დასახელებული თარიღი სავსებით რეალურია, ვინაიდან მხოლოდ შელესვითი სამუშაოებია დარჩენილი. აღსანიშნავია, რომ წინა წარმოების დროს კოლეჯმა წარმოადგინა მხოლოდ A გარემოში განთავსებული მატერიალური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

რესურსის (მაგიდები, სკამები, პროექტორი, დაფა, კომპიუტერები) შესყიდვებისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მიღება-ჩაბარების დოკუმენტაცია. არ იყო შეძენილი C გარემოსთვის განკუთვნილი ხელსაწყო-იარაღები, დანადგარები. მიმდინარე ვიზიტისას კოლეჯმა წარმოადგინა C გარემოსთვის განკუთვნილი მატერიალური რესურსის შესყიდვებისა და მიღება-ჩაბარების აქტები, რის მიხედვითაც დადასტურდა მათი მფლობელობა. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა კოლეჯის მიერ შეძენილი C გარემოსთვის განკუთვნილი ხელსაწყო-იარაღებისა და დანადგარების ვიზუალური დათვალიერება.

აღსანიშნავია, რომ კოლეჯს შემუშავებული აქვს „სასწავლო მიზნებისათვის მასალებით უზრუნველყოფის, შენახვისა და გამოყენების წესი“ (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს 27.05.2019 წ  N04/52 ბრძანების საფუძველზე.) პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ ორგანიზაციებთან:

- შპს „ქალაქმშენსერვისი“;
- შპს „პირამიდა -1“;
- შპს „ზანგო 2015“;
- შპს „ევრა2020“.

მემორანდუმის თანახმად პრაქტიკის ვადები მოიცავს სწავლის დაწყებიდან სწავლის დასრულების პერიოდს. აღსანიშნავია, რომ უვადო მემორანდუმები გაფორმებულია - შპს „ევრასთან“ 2020, 12.06.2020-წალენჯიხა;  შპს „ქალაქმშენ სერვისი“- ზუგდიდი 12.06.2020; შპს „პირამიდა 1“-სენაკში , შპს „ზანგო“ -წალენჯიხა).

ექსპერტთა მიერ შემოწმდა ზემოხსენებულ კომპანიებთან დადებული მემორანდუმები, სადაც განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები. მემორანდუმებში გაწერილია, რომ პრაქტიკული კომპონენტის (გაცნობითი პრაქტიკა) და რამოდენიმე სავალდებულო პროფესიული მოდულის ფარგლებში პრაქტიკული უნარ-ჩვევების განმტკიცება განხორციელდება კომპანიებში. თუმცა, პროგრამის ხელმძღვანელმა ინტერვიურებისას დააზუსტა, რომ კოლეჯი ყველა სავალდებულო პროფესიული მოდულის ფარგლებში პრაქტიკულ კომპონენტს განახორციელებს თავის ტერიტორიაზე არსებულ C გარემოში. "გაცნობითი პრაქტიკის" მოდულის განსახორციელებლად თითოეულ კომპანიას შეუძლია მიიღოს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მაქსიმუმ 15 პროფესიული სტუდენტი. ინტერვიუირებისას დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ტრანსპორტირებას პრაქტიკის ობიექტებზე.

„პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ დირექტორის მ/შ-ის 2019 წლის 30 დეკემბრის N04/122 ბრძანების მიხედვით აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრულია - 30 სტუდენტი. თითო მიღებაზე კოლეჯი გეგმავს 1 ჯგუფის დაკომპლექტებას 15-15 პროფესიული სტუდენტით. ამჟამად პროგრამაზე სწავლობს 13 პროფესიული სტუდენტი.

ექსპერტთა შეფასებით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. საგანმანთლებლო პროგრამის „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ დანართის სახით წარმოდგენილია პროგრამის განმახორციელებელ პირთა სია. სულ პროგრამას განახორციელებს 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის პროფესიულ დარგობრივ მოდულებს განახორციელებს 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საჭიროებიდან გამომდინარე სწავლა შესაძლებელია განხორციელდეს ორ ცვლაში. პროფესიული განათლების მასწავლებლის (საშტატო) დატვირთვის გაანგარიშებისას კოლეჯი ითვალისწინებს მასწავლებლის მიერ განსახორციელებელ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა - მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი და სხვ. პროგრამის პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს.

   ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტები და პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები. დაწესებულების „შინაგანაწესში“ (დამტკ. 18.05.2020 ბრძ. N04/22) თავი 2; მუხლი 6. განსაზღვრულია მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულების

PDF Eraser Free

მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობს და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც განახორციელებს მასწავლებელი.

დაწესებულებას სტარტეგიული განვითარების გეგმაში და სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პირების განვითარების მიზნით მიზნობრივი ტრეინინგების ჩატარების აქტივობა. ასევე, ხარისხის მართვის მენეჯერმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ კედლის დაფარვის სამუშაოების (სამღებრო სამუშაოების შესრულება) პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლებმა უკვე გაიარეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთავაზებული სხვადასხვა ტრენინგები. ერთ-ერთ განმახორციელებელ პირს კი გავლილი აქვს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ ჩატარებული ტრენინგიც შრომის უსაფრთხოების საკითხებზე მშენებლობაში და გააჩნია შესაბამისი სერთიფიკატი.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფუნქციები და საჭირო უნარები. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი და დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი პროგრამის ხელმძღვანელი, რაც დასტურდება მისი პირადი საქმის მიხედვით კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით, აგრეთვე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრების შედეგებით.
5. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, მათ შორის, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული რესურსები. ექსპერტთა მიერ დაწესებულების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ვებგვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგის მეშვეობით და დისტანციური ვიზიტის ფარგლებშიც გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, და ვიზუალური დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე.

საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ როგორც სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით და პრინტერით აღჭურვილ კოლეჯის სამკითხველო დარბაზში, ასევე მასწავლებლის კომპიუტერში სასწავლო სივრცეში. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება ლიტერატურაზე იმუშაონ დამოუკიდებლად, მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა. დისტანციური საქმის წარმოებისას დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები იყენებენ სასწავლო რესურსებს, რის მტკიცებულებად ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა პროფესიული სტუდენტების მიერ ბიბლიოთეკიდან სასწავლო რესურსებით სარგებლობის დამადასტურებელი შევსებული ჟურნალი.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. სსიპ კოლეჯს „ლაკადა“ აქვს სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის ადაპტირებული გარემო, კერძოდ პანდუსი ცენტრალური ეზოში გასასვლელად. შშმ პირების მოთხოვნებთან ადაპტირებული სველი წერტილები. სართულებს შორის დამაკავშირებელი ლიფტი. საჭიროების შემთხვევაში, სსსმ სტუდენტისათვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც იქნება დაფუძვნებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოდულზე და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას და/ან აკომოდაციას და შესაბამისად, დაზუსტდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისათვის დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებები.

ინდივიდუალური სჭიროებებიდან გამომდინარე ხდება სწავლების განსხვავებული ხერხებისა და სტრატეგიების გამოყენება; სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა - სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდების შერჩევა; ისგ-ს საფუძველზე შესაძლებელია სტუდენტისათვის საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემის დადგენა; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო მასალა და ნედლეული.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ „ლაკადას“ წესდების პირველი თავის მე-4 მუხლში „ზ“ პუნქტში გაწერილია ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელების პირობების შექმნის შესახებ. საჭიროების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისა და მსმენელისათვის შეიმუშავოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის შესაბამისადაც განხორციელდება პროფესიული სტუდენტისა და მსმენელის სწავლება, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში" (ბრძ.№04/22. 18.05.2020 წ) მე-5 მუხლში გაწერილია სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები. აღნიშნულ დოკუმენტში 5.5 ქვეპუნქტში გაწერილია, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება სწავლის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში მასწავლებლისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მიერ.

„პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესში" (დამტკ. 2017 წლის 2 ნოემბრის N230 ბრძანებით) მე-4 მუხლის მიხედვით, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტები არიან კომისიის სავალდებულო წევრები. ამავე დოკუმენტის მე-9 მუხლი განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ჩარიცხვის წესს. აპლიკანტის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურების ან უარყოფის მიზნით, ამ მუხლის გათვალისწინებული რეგისტრაციის მიმდინარეობისას კოლეჯი ყოველ მეორე სამუშაო დღეს, რეგისტრაციის ვადის ამოწურვის შემდეგ კი მომდევნო სამუშაო დღეს, უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომ საფეხურებზე დარეგისტრირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ბაზების სამინისტროსთვის მიწოდებას.

კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ კოლეჯს 2016 წლიდან ყავს ინკლუზიური სპეციალისტი. საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი ჩართვა სასწავლო პროცესში. კოლეჯის ბიბლიოთეკარმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ მას წინასწარ მიეწოდება ინფორმაცია სსსმ პირთან დაკავშირებით და შესაბამისად მიიღებენ ზომებს სასწავლო რესურსებთან დაკავშირებით. ექსპერტთა შეფასებით, სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. საგანმანათლებლო პროგრამა იატაკისა და ფილის სამუშაოების ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, კოლეჯი ვაუჩერული დაფინანსების სახით იღებს სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის სწავლის საფასურს კოლეჯში განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე .ვაუჩერული დაფინანსებიდან გაიცემა პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება (საათების რაოდენობა გაწერილია შრომით ხელშეკრულებაში), სასწავლო მიზნით გაწეული ხარჯი. დაწესებულებამ განაცხადით წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი, პროგრამის ბიუჯეტის გათვლის დროს გათვალისწინებულია რენტაბელური სტუდენტთა რაოდეონობა. ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები. კოლეჯმა წარმოადგინა პროგრამის ბიუჯეტი, სადაც განსაზღვრულია შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი. შემოსავლების ნაწილში სულ განსაზღვრულია - 72 006,3 ლარი და ხარჯების ნაწილში - 72 006,3 ლარი. ხარჯების ნაწილი მოიცავს: მასწავლებლის შრომის ანაზღაურება (ვაუჩერული დაფინანსება) -30 750 ლარი; სასწავლო მიზნით გაწეული ხარჯი (ვაუჩერული დაფინანსება) – 14 250 ლარი; ადმინისტრირების ხარჯი (პროგრამული დაფინანსება) – 27 006,3 ლარი. პროგრამის რენტაბელობის ზღვარის განსაზღვრულია 5 პროფესიული სტუდენტით.

ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია შესრულებულია და ბიუჯეტის ხარჯების ნაწილში, ბიუჯეტის პროცენტული მაჩვენებლების სვეტში განსაზღვრულ პროცენტულ მაჩვენებლებში გასწორებულია ტექნიკური უზუსტობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლოპროგრამა „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ და მოდულები (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს 12.06.2020 № 04/35 ბრძანებით).
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან.
- ინტერვიურება კოლეჯის წარმომადგენლებთან.
- ვიზუალური დათვალიერება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- დაწესებულების ელექტრონული კატალოგი (OPAC) http://biblio.lakada.edu.ge/opac/index.php
- ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ფონდის ფაქტობრივი მდგომარეობა;.
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული ხეშეკრულებები;
- სსიპ-კოლეჯში „ლაკადა“ პროგრამების დამტკიცებისა, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს 11.06.2020 №04/32 ბრძანებით)
- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს30.12.2019N04/122 ბრძანებით)
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი”(დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს18.06.2020 N04/22 ბრძანებით)
- „პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“ (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის მ/შ-ს 02.11.2017 N230 ბრძანებით)
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №125/ნ 2019 წლის 19 ივნისი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ ,,ლაკადას“ წესდების დამტკიცების შესახებ“.
- „სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (დამტკიცებულიკოლეჯის დირექტორისმ/შ-ს21.08.2018 N158 ბრძანებით)
- „ბიბლიოთეკის მუშაობის წესი“(დამტკიცებული კოლეჯისდირექტორისმ/შ -ს14.05.2019 N04/37 ბრძანებით)

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

20.03.2021
თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: